

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს  
2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო  
ღონისძიებათა გრაფიკი**

<p>არჩევნების დანიშვნის დღე</p>	<p>8 ივნისი ოთხშაბათი</p>	<p>1. იწყება წინასაარჩევნო კამპანია. (აგიტაცია) (საარჩევნო კოდექსი 45-ე მუხლის პირველი პუნქტი)</p> <p>2. არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ვალდებული არიან, დაიცვან საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. (საარჩევნო კოდექსი 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</p> <p>3. არჩევნების დანიშვნის დღიდან უსკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინება. (საარჩევნო კოდექსი 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</p> <p>4. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტიამ, მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 35, პუნქტი პირველი) (საწყისი ვადა)</p> <p>5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით პარტიამ, რომელსაც არ გააჩნია საარჩევნო რეგისტრაცია ცესკოში, მისი ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს, პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მისაღებად. (აჭარის ა/რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 35, პუნქტი პირველი) (საწყისი ვადა)</p>
<p>არა უგვიანეს 121-ე დღისა</p>	<p>9 ივნისი ხუთშაბათი</p>	<p>საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე, წარედგინება უსკოს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 13, პუნქტი პირველი) (საწყისი ვადა)</p>
<p>არა უგვიანეს 119-ე დღისა</p>	<p>11 ივნისი შაბათი</p>	<p>საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე წარედგინება უსკოს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 13, პუნქტი პირველი) (ბოლო ვადა)</p>

<p>არა უგვიანეს 117-ე დღისა</p>	<p>13 ივნისი ორშაბათი</p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა გაასაჯაროს მისი მიღებიდან <b>2 დღის</b> ვადაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა, აგრეთვე უნდა გამოქვეყნდეს ცესკოს ვებგვერდზე (<b>საარჩევნო კოდექსი 45-ე მუხლის მე-9 პუნქტი</b>)</p>
<p>არაუგვიანეს 57-ე დღისა</p>	<p>12 აგვისტო პარასკევი</p>	<p>1 უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით პარტიამ, მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს. (<b>აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 35, პუნქტი პირველი</b>) (ბოლო ვადა)</p> <p>2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით პარტიამ, რომელსაც არ გააჩნია საარჩევნო რეგისტრაცია ცესკოში, მისი ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი განცხადებით მიმართავენ უსკოს პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მისაღებად. (<b>აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 35, პუნქტი პირველი</b>) (ბოლო ვადა)</p> <p>3. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა ნარკოლოგიური შემოწმების განხორციელების მიზნით სათანადო დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრა. (<b>აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 72, პუნქტი 5</b>)</p> <p>4. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. (<b>აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 40, პუნქტი 3</b>)</p>
<p>არაუგვიანეს 56-ე დღისა</p>	<p>13 აგვისტო შაბათი</p>	<p>საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს. ხოლო თუ დარღვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 40-ე მუხლის პირველი მე-5 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხარვეზის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს. შესწორებული საბუთები არაუგვიანეს მომდევნო დღისა უბრუნდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რეგისტრაციაში გასატარებლად. (<b>აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 40, პუნქტი 6</b>)</p>

არაუგვიანეს 55-ე დღისა	14 აგვისტო კვირა	უსკო აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარუდგენს არჩევნების მომზადებისა და დაფინანსების გეგმას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 58, პუნქტი პირველი) (ბოლო ვადა)
არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან	19 აგვისტო პარასკევი	უსკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელნი და საზოგადოებრივი მაუწყებელნი და აგრეთვე გაზეთები, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გარდა პოლიტიკური გაზეთისა, ვალდებული არიან დაიცვან აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 51-ე მუხლის და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მოთხოვნები. (საარჩევნო კოდექსი, 50-ე მუხლის პირველი პუნქტი)
არაუგვიანეს 50-ე დღისა	19 აგვისტო პარასკევი	1. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ აჭარის ა.რ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ჩარიცხვა უსკოს ანგარიშზე. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 58, პუნქტი 2)  2. შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მიერ მხარდამჭერთა სიების წარდგენის ბოლო ვადა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 36, პუნქტი 2)
არაუგვიანეს 47-ე დღეს	22 აგვისტო ორშაბათი	საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიას ამოწმებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 38, პუნქტი 5).
არაუგვიანეს 46-ე დღისა	23 აგვისტო სამშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 25, პუნქტი 4) (ბოლო ვადა)
არაუგვიანეს 43-ე დღისა	26 აგვისტო პარასკევი	უსკოს უნდა წარედგინოს საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და ბლოკის წესდება. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 38, პუნქტი 1)
არა უგვიანეს 37-ე დღისა	1 სექტემბერი ხუთშაბათი	მთავრდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის საარჩევნო კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის პროცედურები (აჭარის ა.რ. კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 38 პუნქტი 7) (ბოლო ვადა)
არა უადრეს 36-ე დღისა	2 სექტემბერი პარასკევი	საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლით დადგენილი წესით (საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 119, პუნქტი პირველი), (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 45 (საწყისი ვადა)

<p>არაუგვიანეს 30-ე დღე</p>	<p>8 სექტემბერი ხუთშაბათი</p>	<p>1. უსკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, ასევე იმ პარტიებისა და ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა და ამის მიზეზს. <b>(აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 38, პუნქტი 12)</b></p> <p>2. არჩევნებამდე 30 დღით ადრე განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომერი. <b>(საქართველოს საარჩევნო კოდექსი 119-ე მუხლის პირველი პუნქტი), (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 45-ე მუხლი)(ბოლო ვადა)</b></p> <p>3. უსკოსთვის პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ პარტიული სიის და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის ბოლო დღე. პარტიულ სიას უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი. თუ კანდიდატი იმავდროულად წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები (გარდა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობისა) წარდგენილი უნდა იქნეს 2 ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი მიღებიდან 2 დღის ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას; ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ, შესაძლებელია წარდგენილ იქნეს საარჩევნო კომისიაში ერთ ცალად. საოლქო საარჩევნო კომისიაში ცნობის წარდგენის შემთხვევაში, კომისიის ბეჭდით დამოწმებული ასლი ეგზავნება უსკოს, ხოლო უსკოში წარდგენის შემთხვევაში – შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. <b>(აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, 39-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები) (უსკოს 24.08.16. დადგენილება N12)</b></p> <p>4. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას“. <b>(აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მე-40 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტები)</b></p> <p>5. იმართება ახლადშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომა, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე. <b>(საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 25, პუნქტი 21)</b></p>
<p>კენჭისყრამდე 30-ე დღიდან</p>	<p>8 სექტემბერი ხუთშაბათი</p>	<p>მაუწყებელი, გარდა საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული მაუწყებლებისა, ვალდებულია უსასყიდლოდ განათავსოს წინასაარჩევნო რეკლამა არჩევნების დღემდე ბოლო 30 დღის განმავლობაში, თუ მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს იგი განათავსებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის</p>

		30-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტის ფასიან წინასაარჩევნო რეკლამას. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია დაიცვას საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის 6 <sup>1</sup> -ე პუნქტით დადგენილი წესი და ვადები (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 51-ე მუხლის 6 <sup>1</sup> -ე პუნქტი) (საწყისი ვადა)
არაუგვიანეს 29-ე დღისა	9 სექტემბერი პარასკევი	1. უ სკო შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს პარტიული სიით წარდგენილი იმ კანდიდატების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის თითო ეგზემპლარს და უსკოს მიერ დამოწმებული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის ასლს, რომლებიც იმავდროულად წარდგენილნი არიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, 39-ე მუხლის მე-8 პუნქტი) (უსკოს 24.08.16. დადგენილება N12) (საწყისი ვადა) 2. საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 25, პუნქტი 7), (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 25, პუნქტი 6)
არაუგვიანეს 28-ე დღისა	10 სექტემბერი შაბათი	1. უ სკო შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს პარტიული სიით წარდგენილი იმ კანდიდატების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის თითო ეგზემპლარს და უსკოს მიერ დამოწმებული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის ასლს, რომლებიც იმავდროულად წარდგენილნი არიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, 39-ე მუხლის მე-8 პუნქტი) (უსკოს 24.08.16. დადგენილება N12) (ბოლო ვადა) 2. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე, შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგენ და განთავისუფლდნენ აჭარის ა.რ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირები. თანამდებობებიდან გადადგომისა და განთავისუფლების შესახებ სათანადო სამართლებრივი აქტი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს შესაბამის საარჩევნო კომისიას (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 9) (ბოლო ვადა)
არა უგვიანეს 27-ე დღისა	11 სექტემბერი კვირა	საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 40 პუნქტი 11) (ბოლო ვადა)
არაუგვიანეს 26-ე დღისა	12 სექტემბერი ორშაბათი	უსკოს სათანადო სამსახური ამოწმებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას და დასკვნას წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 41, პუნქტი 2)
არაუგვიანეს 25-ე დღისა	13 სექტემბერი სამშაბათი	1. უსკოს თავმჯდომარე თუ წარდგენილი პარტიული სია და თანდართული საბუთები აკმაყოფილებს საარჩევნო კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რეგისტრაციაში ატარებს პარტიულ სიას, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ

		<p>კანდიდატებს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 41, პუნქტი 2)</p> <p>2. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მაჟორიტარი კანდიდატის რეგისტრაციის/რეგისტრაციაზე უარის თქმის ბოლო ვადა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 41, პუნქტი 4)</p> <p>3. უსკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებულ პარტიულ სიებს, აგრეთვე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა იმ მონაცემებს, რომლებიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 119, პუნქტი 10)</p>
არაუგვიანეს მე-22 დღისა	16 სექტემბერი პარასკევი	<p>1. უსკოს თავმჯდომარეს წარედგინება პარტიის/საარჩევნო ბლოკის შესწორებული პარტიული სია და თანდართული საბუთები. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 41, პუნქტი 3) (ბოლო ვადა)</p> <p>2. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს წარედგინება პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის შესწორებული საბუთები. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 41, პუნქტი მე-3 და მე-4) (ბოლო ვადა)</p> <p>3. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას. ((აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 40, პუნქტი 11)</p>
არაუგვიანეს მე-20 დღისა	18 სექტემბერი კვირა	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული მონაცემების შესწორებისა და პარტიული სიების რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 41, პუნქტი 3) (ბოლო ვადა)
კენჭისყრამდე მე-15 დღიდან	23 სექტემბერი პარასკევი	აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 29, პუნქტი 9)
არაუგვიანეს მე-10 დღისა	28 სექტემბერი ოთხშაბათი	<p>1. რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 47, პუნქტი 3)</p> <p>2. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს, პარტიას/ბლოკს, უფლება აქვთ უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას. (აჭარის ა.რ. კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 43, პუნქტი პირველი) (ბოლო ვადა)</p> <p>საარჩევნო სუბიექტის ან ცალკეული კანდიდატების არჩევნებიდან მოხსნის შესახებ ინფორმაციას უსკო დაუყოვნებლივ აქვეყნებს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. (აჭარის ა.რ. კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 43, პუნქტი 4)</p>

არაუგვიანეს მე-7 დღისა	1 ოქტომბერი შაბათი	საერთაშორისო ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართავს უსკოს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 47, პუნქტი 4) (ბოლო ვადა)
არაუგვიანეს მე-5 დღისა	3 ოქტომბერი ორშაბათი	1. ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 47, პუნქტი 7) 2. უსკოს მიერ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 47, პუნქტი 4)
არაუგვიანეს მე-4 დღისა	4 ოქტომბერი სამშაბათი	აკრძალულია უსკოს დადგენილების მიღება. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 29, პუნქტი 3)
არაუგვიანეს მე-3 დღისა	5 ოქტომბერი ოთხშაბათი	1. შესაბამის საარჩევნო კომისიებს წარედგინებათ განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 50, პუნქტი 3) 2. საარჩევნო კომისიის მდივანი რეგისტრაციაში ატარებს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილ ადგილობრივ დამკვირვებლებს და გადასცემს დამკვირვებლის მოწმობას, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 47, პუნქტი 9)
არაუგვიანეს მე-2 დღისა	6 ოქტომბერი ხუთშაბათი	1. თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა ამ კანონით დადგენილ მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა პარტიას/საარჩევნო ბლოკს უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით უუქმდება საარჩევნო რეგისტრაცია. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 35, მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მუხლი 38, მე-13 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) 2. რეგისტრირებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ უსკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა სია მათი ვინაობის მითითებით. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 47, პუნქტი 6) 3. უსკო საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებს და სპეციალურ კონვერტებს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 63, პუნქტი 9) 4. საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლის აკრედიტაციის საკითხის გადაწყვეტა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 50, პუნქტი 4) 5. დილის 8 საათის შემდეგ აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 50, პუნქტი 5)

<p>არაუგვიანეს კენჭისყრის წინა დღისა</p>	<p>7 ოქტომბერი პარასკევი</p>	<p>1. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს გადასცემს სათანადო მოწმობას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 50, პუნქტი 4)</p> <p>2. მაუწყებელი, გარდა საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული მაუწყებლებისა, ვალდებულია უსასყიდლოდ განათავსოს წინასაარჩევნო რეკლამა, თუ მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროსიგი განათავსებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტის ფასიან წინასაარჩევნო რეკლამას. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია დაიცვას საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის 6-ე პუნქტით დადგენილი წესი და ვადები. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 51-ე მუხლის 6-ე პუნქტი) (ბოლო ვადა)</p>
<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე</p>	<p>8 ოქტომბერი შაბათი</p>	<p>1. აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია კენჭისყრის შენობაში. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45, პუნქტი 11)</p> <p>2. აკრძალულია წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 51, პუნქტი 16)</p> <p>3. აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება კენჭისყრის დღის 20 საათამდე, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 50, პუნქტი 5)</p> <p>4. კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეო გადაღება აკრძალულია. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58, პუნქტი 6)</p> <p>5. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 8, პუნქტი 25)</p> <p>6. 7 საათზე: საარჩევნო უბნის გახსნა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61, პუნქტი პირველი)</p> <p>7. 8 საათზე იწყება კენჭისყრა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 60, პუნქტი 1)</p> <p>8. 9 საათიდან 19 საათამდე ხმის მიცემა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 66, პუნქტი პირველი)</p> <p>9. 12 და 17 საათზე კომისიის მდივანი ითვლის ამომრჩეველთა სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას და აღნიშნული რიცხვი შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და</p>

		<p>ჩანაწერთა წიგნში. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 65, პუნქტი 6)</p> <p>10. 20 საათზე იკეტება კენჭისყრის შენობა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 65, პუნქტი 8)</p> <p>11. აკრძალულია საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის გამოწვევა ან/და შეცვლა (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 49, პუნქტი 6)</p> <p>12. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს უსკოს. (უსკოს 24.08.16. დადგენილება N11)</p> <p>13. უსკო ვალდებულია უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა, მათ შორის, მისი დაუყოვნებლივ უსკოს ვებგვერდზე განთავსებით. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 65, პუნქტი 4)</p> <p>14. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ეკრძალებათ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული უსკოს ვებგვერდზე. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 65, პუნქტი 4)</p>
კენჭისყრის დღის მომდევნო დღიდან	9 ოქტომბერი კვირა	საოლქო საარჩევნო კომისია გასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლებს, რომლებიც დამოწმებული უნდა იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 71-ე მუხლის მე-9 პუნქტი)
კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-2 დღიდან	10 ოქტომბერი ორშაბათი	საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ განცხადებას/საჩივარს საუბნო საარჩევნო კომისია გადასცემს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 73-ე მუხლის მე-3 პუნქტი)
კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა	15 ოქტომბერი შაბათი	საარჩევნო ზღურბლგადაღობის პარტიების/საარჩევნო ბლოკების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატმა (გარდა მე-8 და 40-ე მუხლის მე-8 პუნქტებით განსაზღვრული პირებისა) უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 72, პირველი პუნქტი)

კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-11 დღისა	19 ოქტომბერი ოთხშაბათი	<p>საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შედეგების გათვალისწინებით აჯამებს უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 75, პუნქტი პირველი. აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 64, პუნქტი 1)</p> <p>თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველ ტურში უმაღლესი საბჭოს წევრი ვერ აირჩა, უსკო პირველი ტურის შედეგების შეჯამებასთან ერთად ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელიც იმართება პირველი ტურიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა.</p> <p>საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან 7 დღის ვადაში გახსნის საუბნო საარჩევნო კომისიების დალუქულ ჩანაწერთა წიგნებს, გადაიღებს წიგნების იმ გვერდების ასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 2<sup>2</sup> პუნქტითა და 67-ე მუხლის 5<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები (ამის შემდეგ ჩანაწერთა წიგნი ისევ უნდა დაილუქოს), თავისი ხელმოწერით დაამოწმებს ჩანაწერებს და შესაბამის დალუქულ დოკუმენტებთან (პირადობის მოწმობები/პასპორტების ფოტოასლები) ერთად გადასცემს უსკოს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსის, 75-ე მუხლის მე-10 პუნქტი)</p>
კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-12 დღისა	20 ოქტომბერი ხუთშაბათი	<p>საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების თითოეული სახის შემაჯამებელ ოქმს გადასცემს უსკოს. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 75, პუნქტი პირველი. აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 64, პუნქტი 1) (ბოლო ვადა)</p>
კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა	22 ოქტომბერი შაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. განმეორებითი კენჭისყრის გამართვის ბოლო ვადა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 65 პუნქტი 16.)</li> <li>2. ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულება ვალდებულია უსკოს წარუდგინოს ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები და იმ პირთა სია, ვინც გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 72, პუნქტი 3)</li> </ol>
კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა	27 ოქტომბერი ხუთშაბათი	<p>უსკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე აჯამებს უმაღლესი საბჭოს არჩევნების პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს არჩევნების მეორე ტურის დღეს და ადგენს არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, თუ დაინიშნა არჩევნების მეორე ტური, ხოლო თუ არჩევნების მეორე ტური არ დაინიშნა - ადგენს უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 65, პუნქტი პირველი)</p>

კენჭისყრიდან არაუგვიანეს 21-ე დღისა	29 ოქტომბერი შაბათი	უსკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ წევრებს და აძლევს დროებით მოწმობას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71)
კენჭისყრიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა	2 ნოემბერი ოთხშაბათი	მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის გამართვის ბოლო ვადა. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 66, პუნქტი 1) მეორე ტურის კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა უსკო ადგენს უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 65, პუნქტი პირველი)
კენჭისყრიდან არა უგვიანეს 34-ე დღისა	11 ნოემბერი პარასკევი	საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-8 პუნქტი) (ბოლო ვადა)
კენჭისყრიდან არა უგვიანეს 44-ე დღისა	21 ნოემბერი ორშაბათი	მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის გამართვის შემთხვევაში უსკო ადგენს უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 65, პუნქტი პირველი) (ბოლო ვადა)
კენჭისყრიდან არა უგვიანეს 46-ე დღისა	23 ნოემბერი ოთხშაბათი	მეორე ტურის გამართვიდან 2 დღის ვადაში უსკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ წევრებს და აძლევს დროებით მოწმობას. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 71)
კენჭისყრიდან არა უგვიანეს 79-ე დღისა	26 დეკემბერი ორშაბათი	უსკო უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი) (ბოლო ვადა)